საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

2022

კვლევაზე მუშაობდნენ:

გოგა თუშურაშვილი

გიორგი დავითური

ქეთი თოფურია

ნატა ახალაძე

ნიკა ბოლქვაძე

თაია ცეცხლაძე

კვლევის ხელმძღვანელები:

გიორგი კლდიაშვილი

ლევან ავალიშვილი

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშ-რომლობის სააგენტოს, SIDA-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. SIDA შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

გამოქვეყნების თარიღი: მარტი, 2023

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

2022

შინაარსი

ძირითადი მიგნებები 5

შესავალი 8

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2022 წელს 10

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია 12

2022 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტატისტიკა 16

დახურული ინფორმაცია - 2022 18

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები 22

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი - 2022 24

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2022 25

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება 26

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით 27

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები 28

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები 35

აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და უმაღლესი საბჭო და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია 40

ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები 41

სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები 43

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2022 წლებში 44

2010-2022 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა 49

სამართალწარმოების საქმეები 50

IDFI-ს სასამართლო პრაქტიკა 53

დასკვნა 66

ძირითადი მიგნებები

ძირითადი მიგნებები

- 2022 წელს 374 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 7,582 მოთხოვნიდან IDFI-იმ პასუხი მიიღო მხოლოდ 4,385 განცხადებაზე (58%);

- 2022 წელს საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 7,582 მოთხოვნიდან, IDFI-იმ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო მხოლოდ 2,640 შემთხვევაში (35%);

- 2022 წელს IDFI-ს სტანდარტული წერილით გათვალისწინებული თითოეული მოთხოვნის უპასუხოდ დატოვების მაჩვენებელი მინიმუმ 41%-ს შეადგენს. მათ შორის, ყველაზე მეტმა უწყებამ (59%) უპასუხოდ დატოვა ან უარი განაცხადა შიდა აუდიტის ანგარიშების მოწოდებაზე;

- 2022 წელს, განსაკუთრებით პრობლემური იყო ისეთი მოთხოვნების უპასუხოდ დატოვება, რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომთან და მის საქართველოზე გავლენასთან იყო კავშირში. მაგ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ უპასუხოდ დატოვა უკრაინისთვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ უპასუხოდ დატოვა საერთაშორისო სანქციების ქვეშ მყოფი გემების საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლის მცდელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სხვა.

- 2022 წელს დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, პროცენტულად, ყველაზე მეტი მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს ან უარი განაცხადეს ინფორმაციის მოწოდებაზე სახელმწიფო შპს-ებმა და ა(ა)იპ-ებმა (90% უპასუხო, უარი); ასევე, სამინისტროებს დაქვემდებარებულმა უწყებებმა (83% უპასუხო, უარი) და ცენტრალურმა საჯარო დაწესებულებებმა (66% უპასუხო, უარი);

- სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (69% სრულყოფილი) დაფიქსირდა საჯარო დაწესებულებათა ჯგუფში, რომელიც აერთიანებს: აჭარის ა/რ-ის მთავრობასა და სამინისტროებს, აგრეთვე აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას.

- 2022 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით მხოლოდ 9 საჯარო დაწესებულებამ გასცა (მათ შორის, საჯარო სამახურის ბიურომ, სახალხო დამცველის აპარატმა, აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ);

- 2022 წელს 69 დაწესებულება (მათ შორის 49 სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებაა) აღმოჩნდა ისეთი, რომელმაც IDFI-ის ყველა განცხადება უპასუხოდ დატოვა;

- 2022 წელს 130 საჯარო დაწესებულების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლი 50%-ზე ნაკლებია;

- ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიიღო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (95,36%) და საქართველოს პარლამენტის აპარატმა - (85,39%); საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მაჩვენებელმა მხოლოდ 18,31% შეადგინა.

- 2022 წელს, IDFI-ს სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები ყველა სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა, შედეგად, სამინისტროების მაჩვენებელი მხოლოდ 0%-დან 40%-მდე მერყეობს. მათ შორის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტრო (0%);

- 2022 წელს ყველა სამინისტრომ, წინა წელთან შედარებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გააუარესა. მათ შორის, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (-88%), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (- 84%), ჯანდაცვის სამინისტრო (-66%);

- 2022 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 24 პროცენტით შემცირდა და 58% შეადგინა. ეს მაჩვენებელი 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი შედეგია.

- 2022 წელს IDFI-მ 56 ადმინისტრაციული საჩივრი და 16 ადმინისტრაციული სარჩელი მოამზადა. დავის სამართლებრივი სირთულის მიუხედავად, სასამართლომ წარმოებაში მიღებულ ყველა საქმეზე 5 თვით გაახანგრძლივა საქმის განხილვის ვადა.

- 2022 წელს სრულყოფილად გაცემული პასუხების მაჩვენებელი 33%-ია. მსგავსი დაბალი შედეგი 2010 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა.

- 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მეტად შემცირდა სამინისტროების (-62%), სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ების (-65%) და სახელმწიფო რწმუნებულების (გუბერნატორების) ადმინისტრაციების (-26%) შემთხვევაში.

- 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, მიღებული პასუხები მაჩვენებელი მცირედით გაუმჯობესდა დამოუკიდებელი უწყებების (+1%) და საკრებულოების (+4%) ჯგუფებში შემავალ უწყებებში.

- 2022 წელს საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი 19%-ით შემცირდა და 35% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალია.

შესავალი

შესავალი

2022 წლის 23 ივნისს ევროპულმა საბჭომ აღიარა საქართველოს ევროპული პერსპექტივა, თუმცა კანდიდატის სტატუსის მინიჭების წინაპირობად განსაზღვრა სხვადასხვა დემოკრატიული რეფორმების განხორციელება.

სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება დემოკრატიული მმართველობის შემადგენელი ნაწილია, თავის მხრივ, მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს სწორედ ინფორმაციის თავისუფლება წარმოადგენს. ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსის მოსანიჭებლად დადგენილი პირობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ზრდას, ხოლო საჯარო ინფორმაციაზე წვდომა ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად არის დასახელებული. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას მნიშნელოვანი გავლენა აქვს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესზეც.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) 2010 წლიდან ახორციელებს საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს. IDFI-ის სისტემურმა მონიტორინგმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითადი ტენდენციებისა და პრობლემების გამოვლენაში.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობის შეფასება 2022 წლის მონაცემებით. ანგარიში ასევე მოიცავს 2010-2022 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ტენდენციების ანალიზს და საჯარო დაწესებულებათა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგებს.

რეიტინგების შედგენისას გამოყენებულ იქნა IDFI-ს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეფასების 2011 წელს შემუშავებული მეთოდოლოგია და კრიტერიუმები[1].

2022 წელს IDFI-მ ასევე, განახორციელა პროექტი „მედიის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება", რომლის მიზანს წარმოადგენდა მედიის სამართლებრივი მხარდაჭერა საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებში. აღნიშნულმა პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფართო საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების დადგენას და შესაბამისი ინფორმაციის მოთხოვნების გაგზავნას, სამართალწარმოების პროცესის გააქტიურებას და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების გამოვლენას. წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილ სტატისტიკურ მონაცემებში ასახულია აღნიშნული პროექტის ბენეფიციართა თხოვნით გაგზავნილ მოთხოვნებზე რეაგირების შედეგებიც.

[1] *იხ. IDFI- ანგარიში - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2017 წელს - გვ3; გვ17.*

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2022 წელს

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში 2022 წელს

2022 წელს, საქართველოში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შეაფასა **374 საჯარო დაწესებულებისათვის** გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მიხედვით. 2022 წელს კვლევის ობიექტი საჯარო დაწესებულებების რაოდენობის ზრდა (მაგალითად, 2021 და 2022 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები იგზავნებოდა 285 საჯარო დაწესებულებაში) უმეტესწილად, განპირობებულია IDFI-ს მიერ განხორციელებული პროექტის „მედიის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“ ბენეფიციარების მიერ გამოჩენილი ინტერესით. კერძოდ, პროექტის ერთ-ერთი ბენეფიციარის საჭიროების შესაბამისად, IDFI-მ საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოში არსებული სახელმწიფო მუზეუმებიდან და თეატრებიდან. ეს დაწესებულებები საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს წარმოადგენენ. ასევე, 2022 წელს გაიზარდა იმ სახელმწიფო შპს-ების და ა(ა)იპ-ების რიცხვი რომლებსაც IDFI-მ მიმართა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით.

დაწესებულებები, სადაც IDFI-მ 2022 წელს გააგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები, შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- **15** ცენტრალური საჯარო დაწესებულება (საქართველოს პარლამენტი, პრეზიდენტის და მთავრობის ადმინისტრაცია, სამინისტროები/სახელმწიფო მინისტრის აპარატი)
- **9** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, მთავრობა და სამინისტროები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი და უმაღლესი საბჭო, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია;
- **80** სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ -ი და საქვეუწყებო დაწესებულება;
- **75** სახელმწიფო მუზეუმი და თეატრი;
- **31** დამოუკიდებელი ორგანო (დამოუკიდებელი სსიპ-ები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა);
- **128** ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანო (მერია, საკრებულო);
- **9** გუბერნატორის ადმინისტრაცია;
- **5** სასამართლო სისტემაში შემავალი ადმინისტრაციული ორგანო;
- **22** სახელმწიფო შპს, ა(ა)იპ;

მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია

2022 წელს IDFI-იმ 374 საჯარო დაწესებულებას სულ გაუგზავნა 7,582 მოთხოვნა. საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი მოთხოვნების უმრავლესობას წარმოადგენდა სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები, რომლებიც ეხებოდა საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ადმინისტრაციული ხარჯების და სახელმწიფო ქონების განკარგვა, საკადრო უზრუნველყოფა და სხვა. 2022 წელს, ცალკეულ ადმინისტრაციულ ხარჯებთან მიმართებით შედგენილი სტანდარტული კითხვები, დამატებით, ითვალისწინებდა ხარჯების დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის მოთხოვნას. მაგალითად, სტანდარტული წერილით საჯარო დაწესებულებებიდან მოთხოვნილი იყო ყველაზე დიდი ხარჯის მქონე სარესტორნო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის ასლები (ჩეკი ან/და ინვოისი), მივლინების ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, სარეკლამო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვა.

IDFI-ს მიერ განხორციელებული ცალკეული პროექტების და კვლევების ფარგლებში, 2022 წელს ადგილობრივ თვითმმართველობებში დამატებით გაიგზავნა სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებული იყო მათ მიერ განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან, პრივატიზირებულ მუნიციპალურ ქონებასთან, საკრებულოს წევრების საქმიანობასთან და სხვა.

2022 წელს IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები მოიცავდა შემდეგ საკითხებს:

- **უწყების ბიუჯეტიდან თანამშრომლებზე გაცემული სოციალური დახმარებები;**
- **ინვენტარიზაციის შედეგები;**
- **შიდა აუდიტის ანგარიშები;**
- **სახელმწიფო ავტოპარკის შესახებ ინფორმაცია;**
- **ავტომობილების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯები;**
- **ავტომობილებზე გამოწერილი ვიდეო ჯარიმები;**
- **სარეკლამო მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულებები;**
- **მივლინების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ასლები, რის საფუძველზეც ანაზღაურდა გაწეული ხარჯი;**
- **სარესტორნო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის ასლები (ჩეკი ან/და ინვოისი);**

- **მოქმედი საშტატო ნუსხები და ვაკანტური პოზიციები;**
- **ღია, დახურული, შიდა და გამარტივებული კონკურსების და მათში მონაწილეთა რაოდენობა;**
- **ჩაშლილი და შეწყვეტილი კონკურსების რაოდენობა;**
- **შიდა კადრების დანიშვნით დასრულებული კონკურსების რაოდენობა;**
- **საპრეტენზიო კომისიაში და სასამართლოში კონკურსის შედეგების გასაჩივრების სტატისტიკა;**
- **გათავისუფლებულ თანამშრომელთა სტატისტიკა;**
- **შრომით დავებზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები;**
- **ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების პოზიციების და შრომის ანაზღაურების ოდენობების რეესტრი;**
- **ხელმძღვანელის მრჩევლის პოზიციებზე დასაქმებული მოსამსახურეების ხელშეკრულებების ასლები და ბიოგრაფიული მონაცემები (CV);**
- **თანამდებობის პირებზე გაცემული ფულადი ჯილდოების და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაცია;**
- **გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში ელექტრონული ფოსტიდან ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების ასლები.**

ადგილობრივ თვითმმართველობებში დამატებით გაიგზავნა შემდეგი სტანდარტული მოთხოვნები:

- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსების მიღების მიზნით წარდგენილი საპროექტო წინადადებების ასლები;**
- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის დადგენილი ლიმიტები და მისი ათვისები მაჩვენებლები;**
- **მუნიციპალიტეტიდან პროექტის მიმდინარეობის შესახებ სამინისტროს და რწმუნებულის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია და სამუშაოების ადგილზე გაცნობის შესახებ ინფორმაცია;**
- **ინფრასტრუქტურული პროექტების საზედამხედველო მომსახურების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები;**

- **საზედამხედველო კომპანიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშები და გამოვლენილი დარღვევები;**
- **ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ვადების დარღვევის შემთხვევებზე კომპანიებისთვის დაკისრებული საჯარიმო სანქციები;**
- **ინფრასტრუქტურული პროექტების ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების მონაცემთა ბაზა;**
- **პრივატიზებული მუნიციპალური ქონების ჩამონათვალი;**
- **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები;**
- **მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების და შპს-ების ჩამონათვალი, დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა და შრომის ანაზღაურების ფონდი;**
- **საკრებულოს სხდომების გაცდენების სტატისტიკა;**
- **გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ საკრებულოსთვის წარდგენილი ანგარიშები;**
- **საკრებულოს წევრების ანგარიშები.**

ზემოთ განხილული სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები არ გაგზავნილა სასამართლო სისტემაში შემავალ უწყებებში, სახელმწიფო შპს-ებში და ა(ა)იპ-ებში, სახელმწიფო თეატრებში და მუზეუმებში. ასეთი უწყებების საქმიანობის, ფინანსების განკარგვის და სამართლებრივი სტატუსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე, IDFI-ს ინტერესის გათვალისიწნებით, მოთხოვნილი ინფორმაცია უმეტესწილად განსხვავებული ხასიათის იყო. მაგალითად, სახელმწიფო მუზეუმებიდან და თეატრებიდან IDFI-მ მოითხოვა მხოლოდ, ის ინფორმაცია რომელიც წამოადგენდა პროექტის „მედიის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“ ბენეფიციარის ინტერესის საგანს და შეეხებოდა მათ მიერ მიღებულ შემოწირულობებს და საბიუჯეტო შენატანებს.

2011 წლიდან, IDFI საჯარო დაწესებულებებში ყოველწლიურად აგზავნის ადმინისტრაციული ხარჯების განკარგვასთან დაკავშირებით სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს, შედეგად, მონიტორინგის ობიექტ სახელმწიფო უწყებებში წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა IDFI-ის სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებზე ინფორმაციის დამუშავების პრაქტიკა.

არასტანდარტული მოთხოვნების ჯგუფს მიეკუთვნება მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით გაგზავნილი განცხადებები ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც უშუალოდ დაწესებულებების საქმიანობის სფეროს შეეხება, ასევე ის მოთხოვნები, რომლებსაც IDFI დაინტერესებული პირების მიმართვის საფუძველზე აგზავნის შესაბამის საჯარო დაწესებულებებში. 2022 წელს, საზოგადოებრივი ინტერესი უმეტესწილად მიმართული იყო რუსეთ-

უკრაინის ომის შედეგად მომდინარე საფრთხეებთან და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით. შესაბამისად, არასტანდარტული მოთხოვნების დიდი ნაწილი გაიგზავნა ასეთ პროცესებზე პასუხისმგებელ და შესაბამისი ინფორმაციის მქონე უწყებებში. ასეთი არასტანდარტული შეკითხვების მაგალითებია: რუსეთის მოქალაქეების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთის სტატისტიკა, რუსეთის მოქალაქეების მიერ გახსნილი საბანკო ანგარიშების და კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ოდენობა, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებში რუსული რუბლის ბრუნვის მაჩვენებლები, საერთაშორისო სანქციების აღსრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია, უკრაინისთვის გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარება, რუსეთის მოქალაქეების მიერ შესყიდული უძრავი ქონება, რუსეთის მოქალაქეებზე მინიჭებული საქართველოს მოქალაქეობის მაჩვენებლები, გაცემული ბინადრობის ნებართვები და სხვა.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, 2022 წელს ასევე გაიგზავნა მთელი რიგი არასტანდარტული მოთხოვნები, რომელთა მაგალითებია: დევნილთა ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები; კორონავირუსით გარდაცვლილთა სტატისტიკა, სპორტული ფედერაციების დაფინანსება; საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა სტატისტიკა, ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ შუამდგომლობები; ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სხდომის ოქმები, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსების განკარგვა, ფულის გათეთრების საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, სასამართლო სტატისტიკა და სხვა;

ასევე, IDFI-მ 2022 წელს განახორციელა პროექტი „მედიის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“, რომლის ფარგლებში, ბენეფიციარების ინტერესის გათვალისწინებით, მომზადდა 172 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადება, რომელიც ფარავდა სხვადასხვა საკითხებს. მათ შორის, ერთ ლარად გადაცემული ქონების შესახებ ინფორმაცია, ტყის ფონდებიდან მიწების ამორიცხვის შესახებ ინფორმაცია, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, დასაქმების პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაცია, სოციალური რეკლამების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

2022 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტატისტიკა

374 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი 7,582 მოთხოვნიდან IDFI-იმ სრულყოფილი პასუხი მიიღო - 2,115 განცხადებაზე, არასრულყოფილი - 894 მოთხოვნაზე, უარი - 183 შემთხვევაში, უპასუხოდ დატოვებული იქნა 3,197 მოთხოვნა, ხოლო 1,193 შემთხვევაში დაწესებულებებმა შეგვატყობინეს, რომ არ ჰქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, ან არ გააჩნდათ მოთხოვნილი ინფორმაცია.

ქვემოთ, დიაგრამებზე მოყვანილ პროცენტულ მონაცემებსა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცენტულ მაჩვენებლებში არ არის ასახული საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც დაწესებულებები არ ფლობენ მოთხოვნილ ინფორმაციას ან/და არ განუხორციელებიათ კონკრეტული ქმედება. შესაბამისად, 374 უწყების შემთხვევაში, მონაცემები წარმოდგენილია ინსტიტუტის მიერ გაგზავნილ 6,389 განცხადებაზე მიღებული პასუხების მიხედვით.

გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები



შენიშვნა: პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც უწყებები არ ფლობდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ან არ ქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.

2022 წელს, დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, წინა წლის მსგავსად, პროცენტულად, ყველაზე მეტი მოთხოვნა კვლავ უპასუხოდ დატოვეს სახელმწიფო შპს-ებმა და ა(ა)იპ-ებმა; აღნიშნულ ორგანიზაციებს, 2022 წელს, სულ გაეგზავნათ 194 მოთხოვნა, საიდანაც 127 შეკითხვა უპასუხოდ იქნა დატოვებული, ხოლო 50 შემთხვევაში უარი განაცხადეს ინფორმაციის მოწოდებაზე.

2022 წელს, განსაკუთრებული არაანგარიშვალდებულებით გამოირჩნენ ასევე ცენტრალური საჯარო დაწესებულებების და სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ების კატეგორიაში შემავალი უწყებები. მაგალითად, 2022 წელს სამინისტროებს დაქვემდებარებულ უწყებებში გაგზავნილი 1831 მოთხოვნიდან 1499 უპასუხოდ იქნა დატოვებული, ხოლო ცენტრალურ უწყებებში გაგზავნილი 619 მოთხოვნიდან 390 დარჩა უპასუხოდ.

ცენტრალური საჯარო დაწესებულებებიდან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ და ყველა სამინისტრომ, ასევე სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ების უმრავლესობამ, 2022 წელს გაგზავნილი სტანდარტული შინაარსის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები უპასუხოდ დატოვეს. შედეგად, ამ დაწესებულებათა ჯგუფების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით რადიკალურად გაუარესდა. დეტალურად, წლების მიხედვით ტენდენციები მიმოხილულია ქვემოთ.

2022 წელს გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული უარების პროცენტული მაჩვენებლით გამოირჩეოდნენ სასამართლო სისტემაში შემავალი უწყებები. “საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, სასამართლოების საქმიანობის უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსებს განკარგავს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. შესაბამისად, სასამართლოების ფინანსებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნების ადრესატი, ძირითად შემთხვევაში, იყო აღნიშნული უწყება. საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, მთელ რიგ ფინანსურ ინფორმაციაზე (მათ შორის მოსამართლეებზე გაცემული პრემიები და დანამატები, სამივლინებო ხარჯები, საწვავის ხარჯები და ა.შ.) განმარტავდა რომ მოთხოვნილი ფორმით არ აწარმოებდა ინფორმაციის დამუშავებას და აღრიცხვას. IDFI, ფინანსების განკარგვასთან დაკავშირებით არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, ცალკეულ სასამართლოებში არ აგზავნის სტანდარტული შინაარსის მოთხოვნებს, შესაბამისად წლის განმავლობაში მათთან გაგზავნილი მოთხოვნების რაოდენობა მცირეა.

2022 წელს სრულყოფილი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საჯარო დაწესებულებათა ჯგუფში, რომელიც აერთიანებს: აჭარის ა/რ-ის მთავრობასა და სამინისტროებს, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობას და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას. კერძოდ, მათთან გაგზავნილი 152 მოთხოვნიდან სრულყოფილი პასუხი მივიღეთ 105 შემთხვევაში.

გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები დაწესებულებათა სახეების მიხედვით



დახურული ინფორმაცია - 2022

2022 წელს, 270 საჯარო დაწესებულებიდან, რომლებსაც გაეგზავნათ სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები, 41%-მა (110 საჯარო დაწესებულება) მსგავსი წერილით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. შესაბამისად, სტანდარტული წერილით გათვალისწინებული თითოეული მოთხოვნის უპასუხოდ დატოვების მაჩვენებელი მინიმუმ 41%-ს შეადგენს.

საჯარო დაწესებულებების ყველაზე დიდმა ნაწილმა (59%) უპასუხოდ დატოვა ან უარი განაცხადა შიდა აუდიტების ანგარიშების მოწოდებაზე. ხშირ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებები შიდა აუდიტის ანგარიშების გასაჯაროებაზე უარის თქმის მიზეზად განმარტავდნენ, რომ აუდიტორული შემოწმების შედეგები წარმოადგენდა შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას და შესაბამისად, ეს არ წარმოადგენდა საჯარო ინფორმაციას. ამასთან, მიუთითებდნენ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონზე, რომლის მიხედვით შიდა

აუდიტორი ვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე არ გახადოს საჯარო შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. IDFI-ს შეფასებით, საჯარო დაწესებულებები უგულებელყოფდნენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები მიეკუთვნება იმ ინფორმაციის კატეგორიას რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

აქვე აღსანიშნავია IDFI-ს სასამართლო პრაქტიკაც. კერძოდ, 2017 წელს თბილისის სააპელაციო სასამართლომ IDFI-ს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავაზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ანგარიშგება და კონტროლი საბიუჯეტო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ყველას აქვს უფლება იცოდეს საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც.

რიგით მეორე დახურული ინფორმაცია დაკავშირებული იყო საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მრჩევლის პოზიციაზე დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების და მათი ბიოგრაფიული მონაცემების (CV) შესახებ ინფორმაციის მოთხოვნასთან. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარის საფუძვლად საჯარო დაწესებულებები, ხშირ შემთხვევაში, აპელირებდნენ პერსონალურ მონაცემებზე, რომელთაც შეიცავდა მოთხოვნილი დოკუმენტები. IDFI-ს შეფასებით, არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, საჯარო დაწესებულებას ამ მოთხოვნის პასუხად, როგორც მინიმუმ, უნდა მოეწოდებინათ მრჩევლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები პერსონალური მონაცემების დაფარვით, დაშტრიხული სახით. ხოლო, ბიოგრაფიული მონაცემების (CV) გასაჯაროებაზე უარის თქმის საფუძველი შესაძლებელია ყოფილიყო, მხოლოდ ამ პოზიციაზე დასაქმებული პირების მიერ მათი პერსონალური მონაცემების გასაჯაროებისგან თავის შეკავება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე ცნობილია საქართველოს სახალხო დამცველის პოზიციაც, რომლის მიხედვით, მართალია, მრჩეველის ბიოგრაფიული მონაცემები პერსონალური მონაცემების შემცველია, თუმცა საჯარო ინტერესის მატარებელია და შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია მისი გაცემის პოზიტიური ვალდებულება.

როგორც შიდა აუდიტების, ასევე მრჩევლებთან დაკავშირებული ინფორმაცია წლების განმავლობაში წარმოადგენს IDFI-ს მიერ გაგზავნილ მოთხოვნებს შორის, საჯარო დაწესებულებებისათვის ყველაზე პრობლემურ მოთხოვნებს. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მათი უპასუხოდ დატოვების პროცენტული მაჩვენებელი, შესაძლებელია, სრულფასოვნად არ ასახავდეს მსგავსი ინფორმაციის გაუმჭვირვალობის მასშტაბს. ვინაიდან, ის უწყებები, რომლებიც ახდენენ ამ მოთხოვნებზე რეაგირებას, ხშირ შემთხვევაში განმარტავენ, რომ მოთხოვნილ პერიოდში შიდა აუდიტორული შემოწმება არ ჩატარებულა ან/და ხელმძღვანელის მრჩევლის პოზიცია არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, IDFI-სთვის უცნობია მსგავსი უწყებები რამდენად გამოიჩენდნენ მზაობას, გაასაჯაროონ აღნიშნული ინფორმაცია არსებობის შემთხვევაში.

რიგით მესამე, ყველაზე დახურული ინფორმაცია დაკავშირებული იყო საჯარო დაწესებულების ბიუჯეტიდან თანამშრომლებზე გაცემული სოციალურ დახმარებებთან(მათ შორის, თანამდებობის პირებზე სახელის და გვარის მითითებით). ეს მონაცემები, თავისი შინაარსით საჯაროობასთან დაკავშირებით სადაო ელემენტებს ნაკლებად შეიცავს. მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ინსტიტუტს განემარტა, რომ აღნიშნული ინფორმაცია შეიცავდა პერსონალურ მონაცემებს. შესაბამისად, მათი უპასუხოდ დატოვების მაღალი მაჩვენებელი, სავარაუდოდ, განპირობებული იყო არსებული პრაქტიკის დაფარვის სურვილით. საჯარო დაწესებულებებში სოციალური დახმარებების გაცემის პროცესთან დაკავშირებულ ნაკლოვანებებს ხშირად ვხვდებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშებში. მაგალითად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში თანამშრომლებზე, მათ შორის, მაღალანაზღაურებად თანამდებობის პირებზე, სოციალური დახმარების სახით სათანადო დასაბუთების გარეშე გაიცა სოლიდური თანხები. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ IDFI-ს მოთხოვნა 2021 წელს გაცემული სოციალური დახმარებების შესახებ უპასუხოდ დატოვა, მაშინ როდესაც, იმავე წერილით გათვალისწინებული სხვა შინაარსის მოთხოვნები დააკმაყოფილა.

2022 წელს საჯარო დაწესებულებებისათვის პრობლემატური აღმოჩნდა აგრეთვე, გამარტივებული შესყიდვების ფარგლებში, ელექტრონული ფოსტიდან ბაზრის კვლევის მიზნით გაგზავნილი და მიღებული წერილების და ყველაზე დიდი ხარჯის მქონე სარესტორნო მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტაციის ასლების (ჩეკი ან/და ინვოისი) მოთხოვნები.

მოთხოვნები, რომელიც ყველაზე მეტმა უწყებამ დატოვა უპასუხოდ



2022 წელს განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში, მთელმა რიგმა უწყებებმა უპასუხოდ დატოვეს ან სამართლებრივად დაუსაბუთებელი უარი განაცხადეს ისეთი ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც უშუალოდ მათი საქმიანობის სპეციფიკასთან იყო დაკავშირებული. 2022 წელს, განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს უპასუხოდ დატოვებული ისეთი მოთხოვნები, რომელთა მიმართ არსებობდა მაღალი საჯარო ინტერესი.

მაგალითად:

- **მთავრობის ადმინისტრაციამ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ** უპასუხოდ დატოვეს უკრაინისთვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარებების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;

- **სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ** უპასუხოდ დატოვა საერთაშორისო სანქციების ქვეშ მყოფი გემების საქართველოს ნავსადგურებში შემოსვლის მცდელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია ;

- **საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ** უარი განაცხადა რუსეთის მოქალქეებზე დარეგისტრირებული უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე;

- **სსიპ სამოქალაქო ავიაციის საგენტომ** უპასუხოდ დატოვა, მოხალისეებისთვის გამოგზავნილი ჩარტერული რეისის თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაფრენაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ ინფორმაცია;

- **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ** უპასუხოდ დატოვა სახელმწიფო ავტოპარკის შემსწავლელი კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

- **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ** უპასუხოდ დატოვა საქართველოს მთავრობასა და სააქციო საზოგადოება „ინტერ რაო“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა;

- **საქართველოს პროკურატურამ** უპასუხოდ დატოვა ფულის გათეთრების საქმეებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოთხოვნა;

- **საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ** არ გაასაჯაროვა რაგბის კავშირის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი ფინანსური ანგარიშების შესახებ ინფორმაცია;

- **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ** უპასუხოდ დატოვა სხვადასხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობის/რემონტის დროს ადამიანების დაშავების გამო დაწყებული გამოძიებების შესახებ მოთხოვნილი ინფორმაცია;

საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადები

2022 წელს საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 7,582 მოთხოვნიდან, IDFI-იმ 10 დღიანი ვადის დაცვით ინფორმაცია მიიღო მხოლოდ 2,640 შემთხვევაში. ამასთან, უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების ჩათვლით, აღნიშნული ვადა დაირღვა 4,942 შემთხვევაში.

10 დღიანი ვადის დარღვევის მაჩვენებელი (მოიცავს უპასუხოდ დატოვებულ მოთხოვნებს)



თუ დავუშვებთ, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებაზე დაუყოვნებლივი რეაგირება გულისხმობს ინფორმაციის გაცემას 3 დღის განმავლობაში, მაშინ საჯარო დაწესებულებების მიერ დაუყოვნებლივ გაცემულმა მოთხოვნების რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 331. 969 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი და აღნიშნულ ვადაში უზრუნველყვეს ინფორმაციის მოწოდება, 433 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაციის გაცემისთვის მოითხოვეს 10 დღიანი პერიოდი, თუმცა აღნიშნულის შემდეგ განცხადება დატოვეს უპასუხოდ ან ინფორმაცია ვადების დარღვევით გასცეს. 1,340 შემთხვევაში, არ იქნა მოთხოვნილი 10 დღიანი ვადა, თუმცა ინფორმაცია გაიცა 4 დან 10 დღემდე პერიოდში, ხოლო 4,509 შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი ვადები დაირღვა 10 დღიანი ვადის მოთხოვნის გარეშე.

10 დღიანი ვადის მოთხოვნა



- მოითხოვა 10 დღე და დაიცვა
- ინფორმაცია გასცა დაუყოვნებლივ
- მოითხოვა 10 დღე და დაახლოვია
- არ მოუთხოვია 10 დღიანი ვადა და დაიცვა
- არ მოუთხოვია 10 დღიანი ვადა და დაახლოვია

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი 2022

ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებები - 2022

IDFI-ის მიერ განხორციელებულმა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგმა აჩვენა, რომ 2022 წელს საჯარო ინფორმაცია სრულყოფილი სახით და 10 დღიანი ვადის დაცვით მხოლოდ 9 საჯარო დაწესებულებამ გასცა. 2022 წელს 100%-იანი მაჩვენებლის მქონე საჯარო დაწესებულების რიცხვი წინა წელთან შედარებით (13 უწყება) 4-ით შემცირდა.

2022 წელს 2-მა საჯარო დაწესებულებამ გასცა სრულყოფილი პასუხი IDFI-ს ყველა მოთხოვნას, თუმცა ინფორმაციის მოწოდებისას დაირღვა 10 დღიანი ვადა და პასუხის გაცემის ვადებზე დადგენილი კოეფიციენტების გათვალისწინებით, მათმა ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 99% შეადგინა.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები

	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ჯამი	სრულყოფილი	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	საჯარო სამსახურის ბიურო	21	21	21	100%
2	სახალხო დამცველის აპარატი	19	19	19	100%
3	აჭარის ა/რ-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	18	18	18	100%
4	აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო	16	16	16	100%
5	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	15	15	15	100%
6	საარჩევნო სისტემების განვითარების, ხეფორმებისა და სწავლების ცენტრი	14	14	14	100%
7	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	13	100%
8	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	13	100%
9	ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	11	100%
10	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	21	21	4	99,2%
11	აჭარის ა/რ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	19	19	0	99%

ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულება

2011 წლიდან IDFI ტრადიციულად ასახელებს მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ყველაზე დახურულ საჯარო დაწესებულებას. IDFI, ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულების გამოვლენისას, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე მიღებული პასუხების სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, ითვალისწინებს მთელ რიგ კომპლექსურ ფაქტორებს. მათ შორის, საჯარო დაწესებულების საქმიანობის მნიშვნელობას, ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის ხარისხს და სხვა.

2022 წელს, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაურესდა, რაც განაპირობა საჯარო დაწესებულებების მიერ IDFI-ს მიერ გაგზავნილი მოთხოვნების მასშტაბურად უპასუხოდ დატოვებამ. მაგალითად, 2022 წელს IDFI-ს მიერ გაგზავნული ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა 69-მა საჯარო დაწესებულებამ და შესაბამისად მათი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი შეადგენს 0%-ს. ასევე, 130 საჯარო დაწესებულების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 50%-ზე ნაკლებია, რომელთა შორის მნიშვნელოვნად ჭარბობენ სამინისტროები და მათი დაქვემდებარებული უწყებები.

2022 წელს არაანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებების სიმრავლემ და ინფორმაციის თავისუფლებისადმი მასობრივმა არაკეთილსინდისიერმა დამოკიდებულებამ, სამწუხაროდ წარმოაჩინა 2022 წელს საქართველოს საჯარო სექტორში დამკვიდრებული დახურულობის სისტემური მიდგომა. შედეგად, IDFI-მ თავი შეიკავა აღნიშნული სტატუსის კონკრეტული უწყებისათვის მინიჭებისგან. დეტალურად, ცალკეული უწყებების საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით, წარმოდგენილია ქვემოთ.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით

ცენტრალური საჯარო დაწესებულებები

2022 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად საქართველოს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის (პარლამენტის აპარატი, პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მთავრობის ადმინისტრაცია და სამინისტროები) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მიიღეს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (95.93%) და საქართველოს პარლამენტის აპარატმა - 85.39%. საქართველოს პარლამენტის აპარატს 2022 წელს IDFI-მ გაუგზავნა ყველაზე მეტი, 90 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, საიდანაც 74-ს აპარატმა სრულყოფილად უპასუხა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის და სამინისტროების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი მხოლოდ 0%-დან 40%-მდე მერყეობს. მათ შორის, IDFI-ს ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა **კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ (0%) და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა (0%).**

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ჯამი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	22	20	2	0	0	20	95.36%
2	საქართველოს პარლამენტი	90	74	6	0	10	65	85.39%
3	შინაგან საქმეთა სამინისტრო	61	23	6	1	31	14	40.44%
4	საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო	64	16	6	6	36	28	29.69%
5	ფინანსთა სამინისტრო*	34	10	0	1	23	8	27.06%
6	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	39	10	0	6	23	9	25.56%
7	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია*	74	14	2	0	58	7	18.31%
8	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო*	41	7	0	2	32	4	16.05%
9	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	26	3	0	0	23	3	11.54%
10	საგარეო საქმეთა სამინისტრო	31	3	1	2	25	6	11.29%

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რეიტინგი								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ჩაოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
11	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო*	27	2	1	1	23	0	9.15%
12	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	25	2	0	0	23	2	8%
13	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	28	2	0	0	26	0	7.07%
14	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	23	0	0	0	23	0	0%
15	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	33	0	0	0	33	0	0%

** გარკვეული ინფორმაცია მოწოდებულია ადმინისტრაციული საჩივრის შემდგომ ან შეტყობინების გარეშე ერთი თვის დაგვიანებით*

2022 წელს ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის, ერთადერთ უწყებას წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომელმაც წინა წელთან შედარებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი გაუმჯობესა. კერძოდ, ადმინისტრაციის 2021 წლის 87,45%-იანი მაჩვენებელი დაახლოებით 8%-ით გაიზარდა და 95,36% შეადგინა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც გაცემული ინფორმაციის ხარისხის, ასევე ინფორმაციის გაცემის ვადების გაუმჯობესებამ.

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია



2022 წელს, წინა წლის მსგავსად, 0%-იანი მაჩვენებელი შეინარჩუნა საქართველოს, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ. 2021 წლის 16 მარტს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცალკე გამოყოფისა და მინისტრად თეა წულუკიანის დანიშვნის შემდეგ, IDFI-ს სამინისტროდან მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე პასუხი აღარ მიუღია. თეა წულუკიანის მინისტრობის დროს იგივე პრობლემა არსებობდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაშიც, რომელიც წლების განმავლობაში IDFI-ს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანგარიშებში ყველაზე დახურულ უწყებად სახელდებოდა. თეა წულუკიანის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრობის პერიოდი, ასევე უარყოფითად აისახა სამინისტროს სისტემაში შემავალი სხვა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხზეც. მაგალითად, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 16 მარტის შემდეგ პასუხი არც ერთ მოთხოვნაზე აღარ გაუცია. 2022 წელს, როგორც სამინისტროდან, ასევე სააგენტოდან IDFI-ს პროექტის ბენეფიციარმა ინფორმაციის მიღება შეძლო მხოლოდ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემდგომ.

2022 წელს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი, კიდევ უფრო გაურესდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში გაგზავნილი 74 მოთხოვნიდან, 58 უპასუხოდ იქნა დატოვებული. ამასთან, ცალკეულ მოთხოვნებზე პასუხი გაცემულია მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ. 2015 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად ზღუდავს ფინანსების განკარგვასთან და მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავრობის ადმინისტრაცია 2014 წლის შემდეგ, ვებ-გვერდზე აღარ აქვეყნებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ, პროაქტიულად სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელ ფინანსურ ინფორმაციას.

თეა წულუკიანის მინისტრობის დროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები



მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები



როგორც ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი აჩვენებს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ასევე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო წლების განმავლობაში მიზანმიმართულად არღვევენ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს. აღნიშნული აყალიბებდა საფრთხის შემცველ პრეცენდენტს და ახალისებდა საჯარო დაწესებულებების თვითნებობას. ასეთი უწყებების თუ თანამდებობის პირების არაანგარიშვალდებული დამოკიდებულება, შესაძლებელია განხილულ იქნას სხვა ცენტრალური უწყებების თუ მათი დაქვემდებარებული უწყებების მიერ ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. 2022 წელს ყველა სამინიტრომ, წინა წელთან შედარებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გააუარესა. IDFI-ს სტანდარტული შინაარსის მოთხოვნები უპასუხოდ დატოვეს ისეთმა სამინისტროებმაც, რომლებიც წლების განმავლობაში მაღალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდნენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყანაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დადებითი საერთო მაჩვენებლის განსაზღვრაში. მაგალითად, 2022 წელს, წინა წელთან შედარებით, 88%-ით გაუარესდა გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაჩვენებელი, 84%-ით შემცირდა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მაჩვენებელი, 66%-ით ჯანდაცვის სამინისტროს მაჩვენებელი, 55%-ით გაუარესდა საგარეო საქმეთა სამინისტროს შედეგი, ხოლო 49%-ით იუსტიციის სამინისტროს და განათლების და მეცნიერების სამინისტროს მაჩვენებლები.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო



ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო



საგარეო საქმეთა სამინისტრო



იუსტიციის სამინისტრო



განათლების და მეცნიერების სამინისტრო



2021 წელთან შედარებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის %-ული მაჩვენებლის ცვლილება ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებში

ცენტრალური საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ტენდენციები

	საჯარო დაწესებულება	2022	ცვლილება	2021	ცვლილება	2020	ცვლილება	2019	ცვლილება	2018
1	პრეზიდენტის ადმინისტრაცია	95.36%	7.91%	87.45%	30,23%	57.22%	-26,18%	83.40%	12,90%	70.40%
2	საქართველოს პარლამენტი	85.39%	-1.97%	87.36%	-4,75%	92.11%	-6,19%	98.30%	15,60%	82.69%
3	შინაგან საქმეთა სამინისტრო	40.44%	-8.96%	49.40%	4,16%	45.24%	-30,26%	75.50%	3,21%	72.24%
4	განათლების და მეცნიერების სამინისტრო	29.69%	-49.00%	78.69%	21,28%	57.41%	-13,29%	70.70%	-18%	88.64%
5	ფინანსთა სამინისტრო	27.06%	-45.74%	72.80%	59,89%	12.91%	-45,69%	58.60%	30,60%	28,00%
6	თავდაცვის სამინისტრო	25.56%	-39.81%	65.37%	11,87%	53.50%	-26,20%	79.70%	10%	69.63%
7	მთავრობის ადმინისტრაცია	18.31%	-12.13%	30.44%	-3,60%	34.04%	6,14%	27.90%	-23,20%	51.10%
8	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	16.05%	-14.52%	30.57%	-18,79%	49.36%	-35,84%	85.20%	29,90%	55.24%
9	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	11.54%	-84.39%	95.93%	7,25%	88.68%	8,28%	80.40%	-12,20%	92.59%
10	საგარეო საქმეთა სამინისტრო	11.29%	-55.23%	66.52%	-25,81%	92.33%	-6,67%	99%	1,57%	97.43%
11	იუსტიციის სამინისტრო	9.15%	-49.29%	58.44%	52,99%	5.45%	0,85%	4.60%	0,70%	3.85%
12	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	8%	-87.65%	95.65%	-2,49%	98.14%	3,54%	94.60%	-5,20%	99.80%
13	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	7.07%	-65.69%	72.76%	-1,27%	74.03%	-14,27%	88.30%	-1,07%	89.37%
14	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი	0%	-59.53%	59.53%	-19,04%	78.57%	-13,13%	91.70%	-5,39%	97.06%
15	კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	0%	0%	0%	-	-	-	-	-	-

საჯარო სამართლის იურიდიული პირები, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულებები

2022 წელს განხორციელებული კვლევის თანახმად, აღნიშნული ტიპის საჯარო დაწესებულებებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი 4-მა უწყებამ აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ამ კატეგორიაში თავმოყრილია როგორც სამინისტროებს დაქვემდებარებული, ასევე დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მარეგულირებელი კომისიები და სხვა (სულ 106 საჯარო დაწესებულება). ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სარეიტინგო მაჩვენებელი არ დაანგარიშებულა იმ უწყებების შემთხვევაში, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში 10 ინფორმაციის მოთხოვნაზე ნაკლები გაეგზავნათ. მაგალითად, სახელმწიფო მუზეუმები და თეატრები. ასევე, მაგალითად, სსიპ საჯარო და კერძო თანამშრომლობის სააგენტომ სტანდარტული შინაარსის 22 მოთხოვნიდან 17-ზე IDFI-ს განუმარტა რომ კონკრეტული ქმედება არ განხორციელებულა, შესაბამისად დანარჩენი 5 მოთხოვნის მიხედვით სააგენტო აღარ შეფასდა. ასევე, 2022 წელს IDFI-მ თავი შეიკავა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის სარეიტინგო ქულით შეფასებისგან. აღნიშნული უწყებები, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმების შემდგომ, ამოქმედდნენ 2022 წლის 1 მარტიდან. შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია ვერ ფარავდა სრულად სხვა უწყებებისათვის მოთხოვნილ მსგავს ინფორმაციას.

106 საჯარო დაწესებულებიდან, 50-მა IDFI-ის ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. მათ შორის, 49 სამინისტროებს დაქვემდებარებულ სსიპ-ს ან საქვეუწყებო დაწესებულებას წარმოადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა წელს ამ კატეგორიის საჯარო დაწესებულებებში მხოლოდ ერთი უწყება (სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო) იყო ისეთი, რომელსაც IDFI-ს არც ერთ მოთხოვნაზე არ უპასუხია. 2022 წელს, IDFI-ს სტანდარტული შინაარსის წერილებს რეაგირების გარეშე ტოვებდნენ ისეთი სსიპ-ები, რომლებიც წინა წლებში გამოირჩეოდნენ მაღალი ანგარიშვალდებულებით და ხშირ შემთხვევაში სახელდებოდნენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საუკეთოსო შედეგების მქონე უწყებებს შორის. მაგალითად, სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია 2020-2021 წლებში IDFI-მ დააჯილდოვა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის, ხოლო 2022 წელს მათ ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვეს.

აღნიშნულ უწყებებს შორის, რომლების ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 2022 წელს შეადგინა 0%, ყველაზე მეტი დაქვემდებარებულია იუსტიციის სამინისტროს (10 უწყება) და გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (10 უწყება). ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებულია - 7 უწყება, განათლების და მემცნიერების სამინისტროს - 6 უწყება, შინაგან საქმეთა სამინისტროს - 6 უწყება, ჯანდაცვის სამინისტროს - 5 უწყება, ფინანსთა სამინისტროს - 4 უწყება, ხოლო კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს - 1 უწყება.

სსიპ, საქვეუწყებო და სხვა საჯარო დაწესებულების რეიტინგის საუკეთესო მაჩვენებლები								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ჩაოდენობა	სრულყოფილი	ძალსრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	საჯარო სამსახურის ბიურო	21	21	0	0	0	21	100%
2	სახალხო დამცველის აპარატი	19	19	0	0	0	19	100%
3	სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო	15	15	0	0	0	15	100%
4	საარჩევნო სისტემების განვითარების, ჩეფორმებისა და სწავლების ცენტრი	14	14	0	0	0	14	100%
5	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	21	21	0	0	0	4	99.2%
6	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	18	16	2	0	0	18	94.44%
7	სტატისტიკის ეროვნული სამსახური	24	22	1	1	0	24	93.58%
8	საავტომობილო გზების დეპარტამენტი	18	15	3	0	0	18	91.67%
9	ფინანსური მონიტორინგის სამსახური	16	13	3	0	0	16	90.63%
10	ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - საქპატენტი	17	14	3	0	0	0	90.18%

2022 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული სსიპ-ები					
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნა	უპასუხო	უარი	შედეგი
1	საქართველოს ეროვნული არქივი	25	22	3	0%
2	საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	24	24	0	0%
3	ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია	23	22	1	0%
4	სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	23	23	0	0%
5	იუსტიციის სახლი	22	22	0	0%
6	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	22	22	0	0%
7	განათლების საერთაშორისო ცენტრი	22	22	0	0%
8	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	22	22	0	0%
9	საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	22	22	0	0%
10	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	22	22	0	0%
11	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო	22	22	0	0%
12	მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი	22	22	0	0%
13	აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი	22	22	0	0%
14	სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	22	22	0	0%
15	ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო	22	22	0	0%
16	ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო	22	22	0	0%
17	გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	22	22	0	0%
18	გარემოს ეროვნული სააგენტო	22	22	0	0%
19	დაცული ტერიტორიების სააგენტო	22	22	0	0%

2022 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული სსიპ-ები					
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნა	უპასუხო	უარი	შეღები
20	ველური ბუნების ეროვნული სააგენტო	22	22	0	0%
21	გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	22	22	0	0%
22	სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია	22	22	0	0%
23	ღვინის ეროვნული სააგენტო	22	22	0	0%
24	მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო	22	22	0	0%
25	სოფლის მეურნეობის სამეცნიერო - კვლევითი ცენტრი	22	22	0	0%
26	სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო	22	22	0	0%
27	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი	22	22	0	0%
28	სახელმწიფო ხაზინა	22	22	0	0%
29	საფინანსო ანალიტიკური სამსახური	22	22	0	0%
30	ფინანსთა სამინისტროს აკადემია	22	22	0	0%
31	საკანონმდებლო მაცნე	22	22	0	0%
32	აღსრულების ეროვნული ბიურო	22	22	0	0%
33	ნოტარიუსთა პალატა	22	22	0	0%
34	იუსტიციის სასწავლო ცენტრი	22	22	0	0%
35	დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო	22	22	0	0%
36	შსს აკადემია	22	22	0	0%
37	სასაზღვრო პოლიცია	22	22	0	0%
38	დაცვის პოლიცია	22	22	0	0%
39	შსს - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	22	22	0	0%

2022 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული სსიპ-ები					
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნა	უპასუხო	უარი	შედეგი
40	შსს მომსახურების სააგენტო	22	22	0	0%
41	გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - სსიპ „112“	22	22	0	0%
42	შემოქმედებითი საქართველო	22	22	0	0%
43	დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო	22	22	0	0%
44	ციფრული მმართველობის სააგენტო	22	22	0	0%
45	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო	22	22	0	0%
46	პენიტენციური და პრობაციის სისტემის მოსამსახურეთა მომზადების ცენტრი	22	22	0	0%
47	ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო	22	22	0	0%
48	შრომის ინპექციის სამსახური	22	22	0	0%
49	მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო	22	22	0	0%

აჭარის ა/რ-ის მთავრობა, სამინისტროები და უმაღლესი საბჭო, აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი და უმაღლესი საბჭო და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და სამინისტროები წლების განმავლობაში მაღალი ანგარიშვალდებულებით გამოირჩეოდნენ და შეუფერხებლად გასცემდნენ საჯარო ინფორმაციას. 2022 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა მხოლოდ 39.29% შეადგინა, რაც წინა 2021 წლის მაჩვენებელს 50%-ით ჩამორჩება. აჭარის ა/რ-ის სამინისტროების შემთხვევაში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები 66%-დან 100%-მდე მერყეობს. მათ შორის, 100%-იანი მაჩვენებელი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

საჯარო დაწესებულების ამ ჯგუფში ასევე გაწევრიანებულია სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია (84.38%), აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭო (72.08%) და აფხაზეთის ა/რ-ის მთავრობის აპარატი (55%).

აჭარის ა/რ-ის მთავრობის და სამინისტროების რეიტინგი

	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ოდენობა	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	აჭარის ა/ი-ის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო	19	19	0	0	0	19	100%
2	აჭარის ა/ი-ის უმაღლესი საბჭო	16	16	0	0	0	16	100%
3	აჭარის ა/ი-ის სოფლის მეურნეობის სამინისტრო	19	19	0	0	0	0	99%
4	აჭარის ა/ი-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	18	17	1	0	0	0	96.22%
5	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	16	11	5	0	0	16	84.38%
6	აფხაზეთის ა/ი-ის უმაღლესი საბჭო	13	6	7	0	0	0	72.08%
7	აჭარის ა/ი-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	17	8	7	0	2	15	66.76%
8	აფხაზეთის ა/ი-ის მთავრობის აპარატი	20	7	8	0	5	15	55%
9	აჭარის ა/ი-ის მთავრობის აპარატი	14	3	5	0	6	8	39.29%

ადგილობრივი თვითმმართველობების მერიები და საკრებულოები

ადგილობრივ თვითმმართველობებში 2022 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგების თანახმად, 128 საჯარო დაწესებულებიდან (მერია და საკრებულო) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 100%-იანი მაჩვენებელი აქვს მხოლოდ ფოთის, ჭიათურის და ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოებს; მერიების და საკრებულოების რეიტინგის პირველ ათეულში მერიებიდან წარმოდგენილია მხოლოდ ზუგდიდის და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია.

2022 წელს 7 მუნიციპალიტეტის მერიამ და 7 მუნიციპალიტეტის საკრებულომ უპასუხოდ დატოვა IDFI-ს ყველა მოთხოვნა. მათ შორის, აღსანიშნავია ბოლნისის, თეთრიწყაროს და მარნეულის მუნიციპალიტეტები, რომელთა როგორც აღმასრულებელი, ასევე წარმომადგენლობითი ორგანოები არ ასრულებენ კანონმდებლობის მოთხოვნებს და არ გასცემენ საჯარო ინფორმაციას.

2022 წელს თბილისის საკრებულომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი მცირედით (+4%) გაუმჯობესა. განსხვავებული მდგომარეობაა ქალაქ თბილისის მერიის შემთხვევაში, რომლის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი 2018 წლის შემდეგ ყოველწლიურად მნიშვნელოვნად უარესდება. შედეგად, 2022 წლის მაჩვენებელი მხოლოდ 35.14%-ს შეადგენს, რაც ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი შეფასებაა.

მერიების და საკრებულოების რეიტინგის პირველი ათეული

	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ჯამი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	0	0	0	13	100%
2	ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	13	13	0	0	0	13	100%
3	ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	11	0	0	0	11	100%
4	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	27	26	1	0	0	27	99.09%
5	თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო	15	14	1	0	0	15	98%
6	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	15	14	1	0	0	15	98%
7	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო	12	11	1	0	0	12	97.22%
8	ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო	11	10	1	0	0	11	97.06%
9	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო	14	13	1	0	0	0	96.88%
10	ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია	31	28	3	0	0	31	96.43%

2022 წლის ყველაზე არა-ანგარიშვალდებული მერიები და საკრებულოები				
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნა	უპასუხო	შედეგი
1	ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია	34	34	0%
2	აბაშის მუნიციპალიტეტის მერია	34	34	0%
3	ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია	34	34	0%
4	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერია	34	34	0%
5	კასპის მუნიციპალიტეტის მერია	34	34	0%
6	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	34	34	0%
7	მესტიის მუნიციპალიტეტის მერია	34	34	0%
8	ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	20	20	0%
9	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულო	20	20	0%
10	მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	20	20	0%
11	სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო	20	20	0%
12	საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო	20	20	0%
13	შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო	20	20	0%
14	ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო	20	20	0%

ქალაქ თბილისის მერიის და საკრებულოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებლები



სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციები

2022 წელს IDFI-ს ყველა მოთხოვნაზე სრულყოფილად და 10 დღიანი ვადის დაცვით არც ერთ სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას არ უპასუხია. მათ შორის, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მხოლოდ 76,67%-ია, რომელიც რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაციას აქვს.

2022 წელს 9 რწმუნებულის ადმინისტრაციიდან 3-მა IDFI-ს ყველა მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. დანარჩენი 6 ადმინისტრაციის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი კი 59%-დან 77%-მდე მერყეობს.

სახელმწიფო რწმუნებულების-გუბერნატორების ადმინისტრაციების რეიტინგი								
	საჯარო დაწესებულება	მოთხოვნების ჯამი	სრულყოფილი	არასრულყოფილი	უარი	უპასუხო	10 დღიანი ვადის დაცვა	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
1	რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	15	9	5	0	1	14	76.67%
2	სამცხე ჯავახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	7	4	1	0	12	75%
3	ქვემო ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	12	6	5	1	0	12	70.83%
4	გურიის გუბერნატორის ადმინისტრაცია	16	7	8	0	1	15	68.75%
5	კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	11	5	4		2	0	62.82%
6	სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	11	3	7	1	0	11	59.09%
7	იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	21	0	0	0	21	0	0%
8	მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორის ადმინისტრაცია	21	0	0	0	21	0	0%
9	შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაცია	21	0	0	0	21	0	0%

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2022 წლებში

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 2010-2022 წლებში

2010-2022 წლებში, IDFI-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგი საშუალებას გვაძლევს განვიხილოთ, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის 13 წლის დინამიკა, საჯარო დაწესებულებების ჯგუფების მიხედვით.

2010 -2022 წლებში, IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებებში სულ გაიგზავნა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის **80,250** განცხადება, რომელთაგან პასუხი მიღებულია **64,391** მოთხოვნაზე.

IDFI-ის მიერ 13 წლის განმავლობაში წარმოებული სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად გაგზავნილ მოთხოვნებსა და მიღებულ პასუხებს შორის არსებული პროცენტული თანაფარდობის დინამიკა ხასიათდებოდა ხშირი ცვალებადობით. 2010-2022 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე **გაცემული პასუხების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (90%) 2013 წელს იყო.** ასევე, მაღალი იყო ეს მაჩვენებელი 2017 წელს - 88%. 2018 წლიდან 2021 წლამდე ეს მაჩვენებელი გარკვეულწილად მცირდებოდა თუმცა, 2014 წლის შემდეგ დამკვიდრებული 80%-იანი კრიტიკულ ზღვარი შენარჩუნებული იყო. 2022 წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი რადიკალურად გაუარესდა, გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების მაჩვენებელი მხოლოდ 58%-ია, რაც 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი შედეგია. 2021 წელთან შედარებით, მიღებული პასუხების მაჩვენებელი 24%-ით შემცირდა.

2010-2022 წლებში გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხები



წელი	საჯარო დაწესებულება	გაგზავნილი მოთხოვნები	მიღებული პასუხები
2022	374	7582	4385
2021	285	8447	6932
2020	285	6258	5 000
2019	284	6 240	5 180
2018	282	6 413	5 454
2017	289	7 728	6 782
2016	294	7 430	6 291
2015	307	8 297	7 122
2014	308	7 878	6 481
2013	224	5 625	5 049
2012	229	5 072	3 449
2011	154	2 740	2 099
2010	21	540	238

მიღებული პასუხების პროცენტული შედარება წლების მიხედვით



იმ შემთხვევაში, თუ მიღებული პასუხების პროცენტულ მაჩვენებლებში არ გავითვალისწინებთ **საჯარო დაწესებულებებიდან მიღებულ ისეთ პასუხებს, რომელთა თანახმადაც უწყებები არ ფლობდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ან არ ქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება, მაშინ** 2022 წელს, წინა წელთან შედარებით სრულყოფილი პასუხების პროცენტული მაჩვენებელი 27%-ით შემცირდა, ხოლო უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მაჩვენებელი კი 26%-ით გაიზარდა. ასევე 2%-ით გაიზარდა ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევების წილი.

სრულყოფილად გაცემული პასუხების მსგავსი დაბალი (33%) მაჩვენებელი, 2010 წლის შემდეგ არ დაფიქსირებულა.

საჯარო დაწესებულებიდან მიღებული პასუხები



შენიშვნა: ***პროცენტულ მონაცემებში ასახული არ არის საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ის პასუხები, რომელთა თანახმადაც უწყებები არ ფლობდნენ მოთხოვნილ ინფორმაციას, ან არ ქონდათ განხორციელებული კონკრეტული ქმედება.***

2022 წლის საერთო მაჩვენებლის გაუარესება ერთგვაროვნად არ ასახულა საჯარო დაწესებულებათა ყველა ჯგუფზე. 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების პროცენტული მაჩვენებელი ყველაზე მეტად შემცირდა სამინისტრეობის (-62%), სამინისტროებს დაქვემდებარებული სსიპ-ების (-65%) და სახელმწიფო რწმუნებულების (გუბერნატორების) ადმინისტრაციების (-26%) შემთხვევაში. ასევე, გარკვეული კლება დაფიქსირდა მუნიციპალიტეტების მერიების (-8%) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებების შემთხვევაში (-5%). 2022 წელს წინა წელთან შედარებით მიღებული პასუხები მაჩვენებელი მცირედით გაუმჯობესდა დამოუკიდებელი უწყებების (+1%) და საკრებულოების (+4%) ჯგუფებში შემავალ უწყებებში.

საჯარო დაწესებულებების ჯგუფების მიხედვით, მონაცემების ანალიზი აჩვენებს, რომ 2022 წელს ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საერთო მაჩვენებლის გაურესება, ძირითადად, დაკავშირებულია საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში შემავალი უწყებების (სამინისტროები, სამინისტროების სსიპ-ები, სახელმწიფო რწმუნებული ადმინისტრაციები) მიერ ინფორმაციის გაცემის შეზღუდვასთან.

გაგზავნილ წერილებზე მიღებული პასუხების პროცენტული მაჩვენებლები საჯარო დაწესებულებათა კატეგორიების მიხედვით



2022 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების რადიკალურად გაუარესებული მაჩვენებელი, ერთის მხრივ შესაძლებელია შეფასდეს როგორც საქართველოს მთავრობის სტრუქტურაში შემავალ უწყებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ნეგატიური ცვლილებებით, თუმცა მეორეს მხრივ, მოკლევადიან პერიოდში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაურესების არსებული მასშტაბი აჩენს მნიშვნელოვან ეჭვებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეზღუდოს ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლება.

2010-2022 წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვადების დაცვის პრაქტიკა

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია განცხადების მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ გასცეს საჯარო ინფორმაცია. ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს 10 დღიანი ვადა, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არის დიდი მოცულობის, საჭიროებს შეგროვებას და დამუშავებას ან აუცილებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან კონსულტაცია. 10 დღიანი ვადის გამოყენების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

იმის გათვალისწინებით, რომ ინსტიტუტის მიერ 2010-2022 წლებში ხშირ შემთხვევაში მოთხოვნილი იყო მოცულობითი ინფორმაცია, სტატისტიკის წარმოების მიზნებისთვის ვადის დაცვად მივიჩნევდით ინფორმაციის გაცემას ათი სამუშაო დღის განმავლობაში, მიუხედავად იმისა გვატყობინებდა თუ არა საჯარო დაწესებულება 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შესახებ.

2022 წელს, წინა წელთან შედარებით საჯარო ინფორმაციის დროულად გაცემის მაჩვენებელი 20%-ით გაუარესდა და 35% შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2010 წლის შემდეგ, ყველაზე დაბალია, რაც უპასუხოდ დატოვებული მოთხოვნების მნიშვნელოვან ზრდას უკავშირდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 10 დღიანი ვადის დაცვით მიღებული პასუხების მსგავსი მკვეთრი შემცირება არ დაფიქსირებულა კორონავირუსის პანდემიის პირობებშიც, როდესაც უწყებებში გართულებული იყო სამუშაო პროცესი (დისტანციურ სამუშაო პროცესზე გადასვლა, პანდემიასთან ბრძოლაში ჩართულობა და სხვა).

10 დღიანი ვადის დაცვით მიღებული პასუხები



სამართალწარმოების საქმეები

სამართალწარმოების საქმეები

2022 წელს, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი გაურესების ფონზე, IDFI-მ აქტიურად დაიწყო საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის, ინფორმაციის მხოლოდ ნაწილობრივ გაცემისა და განცხადების უპასუხოდ დატოვების შემთხვევების ადმინისტრაციული წესით გასაჩივრება. 2022 წელს, IDFI-მ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ჯამში 56 ადმინისტრაციული საჩივარი მოამზადა და შესაბამის საჯარო დაწესებულებებში წარადგინა. 2022 წლის იანვარში, ორგანიზაციამ სრული დატვირთვით აამუშავა ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე სამართლებრივი მხარდაჭერის პროგრამა მედიის წარმომადგენლებისთვის და ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ხელშეწყობის მიზნით. 2022 წელს საჩივრების უმრავლესობა მომზადდა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. ამასთან, საჩივრის საჯარო დაწესებულებაში წარდგენა ხდებოდა IDFI-ს, ან უშუალოდ ბენეფიციარი ჟურნალისტის/მედია ორგანიზაციის სახელით.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციის გაუცემლობის ან/და მისი არასრულად მიწოდების პრობლემები, ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების შემდეგ, რიგ შემთხვევებში, აღმოიფხვრა. საჩივრის წარდგენა შედეგიანი აღმოჩნდა და საჯარო დაწესებულებებმა ინფორმაცია სრულად 14, ხოლო ნაწილობრივ 8 შემთხვევაში გასცეს.

ადმინისტრაციული წესით გასაჩივრების მიზეზი უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა საჯარო დაწესებულების მიერ მოთხოვნის უპასუხოდ დატოვება, მსგავსი შემთხვევა 39-ჯერ დაფიქსირდა. ასევე, 9 შემთხვევაში საჯარო დაწესებულებამ განცხადების ზოგიერთი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გასცა, თუმცა რეაგირების გარეშე დატოვა კონკრეტული პუნქტ(ებ)ი და არ განმარტა ამ კონკრეტული ინფორმაციის გაუცემლობის მიზეზები. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადებაზე მიღებული პასუხებიც არაერთი საჩივრის წარდგენის საფუძველი იყო - ამგვარ წერილებში საჯარო დაწესებულებები ღიად მიუთითებდნენ ან ირიბად მიანიშნებდნენ ინფორმაციის გაცემის შემაფერხებელ გარემოებზე (იხ. ცხრილი) და ამ გზით ცდილობდნენ საჯარო ინფორმაციაზე წვდომის შეზღუდვის გამართლებას. ყველა ასეთი უარი, რომელიც IDFI-ს შეფასებით წინააღმდეგობაშია ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან, გასაჩივრებულია.

საფუძველი	რაოდენობა
პერსონალური მონაცემები	4
ინფორმაციას არ ამუშავებენ	4
ინფორმაცია არ მუშავდება მოთხოვნილი ფორმით	3
კონფიდენციალური ინფორმაცია	2
სახელმწიფო საიდუმლოება	1
სზაკ-ის ნორმები არ ვრცელდება კონკრეტულ საჯარო დაწესებულებაზე	1
საჯარო ინფორმაციის გაცემისთვის საჭიროა თანხის გადახდა	1
ადამიანური რესურსის ნაკლებობის გამო ინფორმაცია ვერ მუშავდება	1

საჩივრების სტატისტიკის დამუშავების შედეგად გამოიკვეთა ისეთი საჯარო დაწესებულებები, რომლებიც, როგორც წესი, არ რეაგირებენ არც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებზე და არც შესაბამის საჩივრებზე. მაგალითად, IDFI-მ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უპასუხოდ დატოვებული საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ წარდგენილი სამი განცხადება, - სამინისტრომ 2 შემთხვევაში არ განიხილა საჩივარი და მიუთითა, რომ აღნიშნული სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, ხოლო 1 საჩივარი განცხადების მსგავსად უპასუხოდ დატოვა.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების შეუსრულებლობისთვის წარდგენილი იყო 6 ადმინისტრაციული საჩივარი და აქედან მხოლოდ 1-ზე (საჩივრის განხილვის გარეშე) მოგვეწოდა ინფორმაცია, დარჩენილი საჩივრები კი პასუხისა და რეაგირების გარეშე დარჩა.

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ერთ-ერთი ინსტრუმენტი სწორედ ადმინისტრაციული წესით საჩივრის წარდგენაა და IDFI აქტიურად იყენებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სამართლებრივ საშუალებას, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

IDFI-ს სასამართლო პრაქტიკა

2022 წლის განმავლობაში IDFI-მ, ჯამში, 16 სარჩელი აღძრა საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე.

ეს საქმეებია:

ტურიზმის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 6 ივნისს ტურიზმის ეროვნული სააგენტოსგან მოთხოვნილი იქ-ნა საერთაშორისო ტურისტული გამოფენა-ბაზრობის "FITUR 2021"-ის ფარგლებში მარკეტინგული კამპანიის განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულებები

სფერო: სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ინაგრძობა: სააგენტომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ გასცა იმაზე მითითებით, რომ **ხელშეკრულება კონფიდენციალურია.** 2022 წლის 7 ივლისის საჩივრით გასაჩივრდა სააგენტოს უარი. სააგენტომ საჩივარი **არ განიხილა** იმაზე მითითებით, რომ საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს ფუნქციურად ზემდგომი ორგანო/პირი არ ჰყავს და ქმედება უნდა გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლო წესით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 6 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მოთხოვნილი იქნა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში სამინისტროს თანამშრომლებზე და თანამდებობის პირებზე გაცემული სახელმწიფო ჯილდოების შესახებ ინფორმაცია

სფერო: საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ინაგრძობა: სამინისტრომ განცხადებით მოთხოვ-ნილი ინფორმაცია გასცა მხოლოდ **ნაწილობრივ**, თანამდებობის პირების სახელებისა და გვარების, აგრეთვე სტრუქტურული ერთეულების მითითების გარეშე. IDFI-მ სამინისტროს არასრულყოფილი პასუხი ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა. სამინისტრომ საჩივარი **არ განიხილა,** მიუთითა მხოლოდ მის პირველ პასუხზე და სასამართლო წესით გასაჩივრების უფლებაზე.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 6 ივნისს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია 2021 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დახარჯული თანხებისა და მათი მიზნობრიობის შესახებ

სფერო: საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესახებ

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ინფორმაცია: მთავრობის ადმინისტრაციამ განცხადება **უპასუხოდ** დატოვა, რაც გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით. მთავრობის ადმინისტრაციამ საჩივარიც **უპასუხოდ** დატოვა. საჩივარზე არ მიღებულა არანაირი გადაწყვეტილება (არც განუხილველად დატოვების, არც დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ). საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გასვლის გამო, IDFI-მ უკვე სასამართლოს მიმართა საქართველოს მთავრობისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემის დავალდებულების მოთხოვნით.

საქართველოს გენერალური პროკურატურის წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 6 ივნისს IDFI-მ საქართველოს გენერალური პროკურატურისგან მოითხოვა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით უცხოელ სპეციალისტებთან დადებული იურიდიული მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულებები.

სფერო: სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ინფორმაცია: გენერალურმა პროკურატურამ განცხადება **უპასუხოდ** დატოვა, რაც გასაჩივრდა 2022 წლის 8 ივლისის ადმინისტრაციული საჩივრით. გენერალურმა პროკურატურამ საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და **არ დააკმაყოფილა.** უარის მიზეზად მიუთითა, რომ გენერალურ პროკურატურასა და უცხოელ ექსპერტს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება შეიცავდა ამ უკანასკნელის **პერსონალურ მონაცემებს.**

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და ეკონომიკის სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 8 ივნისს IDFI-მ სამ უწყებას (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია) მიმართა და მოითხოვა ტყის ფონდებიდან ამორიცხული მიწების შესახებ ინფორმაცია ამ მიწების საკადასტრო კოდების მითითებით.

სფერო: საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან საჯარო ინფორმაციის განცხადებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ორივე შემთხვევაში IDFI-მ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა მოთხოვნების უპასუხოდ დატოვება. ეკონომიკის სამინისტრომ საჩივარი **არ განიხილა** იმაზე მითითებით, რომ საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს ფუნქციურად ზემდგომი ორგანო/პირი არ ჰყავს და ქმედება უნდა გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლო წესით. ხოლო საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ საჩივარიც **უპასუხოდ** დატოვა. საჩივარზე არ მიღებულა არანაირი გადაწყვეტილება (არც განუხილველად დატოვების, არც დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ). ორივე უწყების წინააღმდეგ IDFI-მ დაიწყო სასამართლო დავა.

რაც შეეხება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სააგენტომ თავდაპირველი განცხადება **უპასუხოდ** დატოვა, რაც გასაჩივრდა 2022 წლის 1 ივლისის საჩივრით. საჩივარზე პასუხად, სააგენტომ გამოაგზავნა პასუხი საჯარო ინფორმაციის განცხადებაზე, ხოლო საჩივარი **აღარ განიხილა.** სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობდა მოთხოვნის შინაარსს. საკადასტრო კოდების მოწოდებაზე უარი სააგენტომ იმით ახსნა, რომ ამ ტიპის ინფორმაციის გაცემისთვის საჭიროა **საფასურის გადახდა** თითოეული საკადასტრო კოდისთვის (როგორც წერილიდან ირკვევა, ჯამში, 25,000-მდე შემთხვევისთვის). IDFI-მ სააგენტოს ეს პასუხი გაასაჩივრა სასამართლო წესით.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 24 ივნისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით. კერძოდ, კომისიის 61-ე სხდომის ოქმი და მისი ჩანაწერები.

სფერო: მთავრობის სათათბირო ორგანოების საქმიანობა

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: სამინისტრომ განცხადება არ დააკმაყოფილა იმაზე მითითებით, რომ კომისიის საქმიანობა დაკავშირებულია საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან და **საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება მასზე არ უნდა გავრცელდეს.** აღნიშნული პასუხი გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით. სამინისტრომ საჩივარი **განიხილა** ზეპირი მოსმენით და **არ დააკმაყოფილა** იგი. უარის საფუძვლად კვლავ ის დასახელდა, რომ კომისიის საქმიანობაზე არ უნდა გავრცელდეს სზაკ-ის მე-3 თავის (ინფორმაციის თავისუფლება) ნორმები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 30 ივნისს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისგან მოთხოვნილ იქნა ინფორმაცია სამსახურიდან გათავისუფლებული პირების და გათავისუფლების საფუძვლების შესახებ

სფერო: საჯარო უწყების საკადრო პოლიტიკა

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: სამსახურის 2022 წლის 15 ივლისის წერილი მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობდა თავდაპირველ მოთხოვნას. სამსახურს არ მოუწოდებია ინფორმაცია გათავისუფლების საფუძვლებისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით (როგორც განცხადებაში იყო ფორმულირებული). შედეგად, IDFI-მ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა სამსახურის არასრულყოფილი პასუხი. სამსახურმა **არ განიხილა** ადმინისტრაციული საჩივარი და მიუთითა მხოლოდ მის 2022 წლის 15 ივლისის წერილზე. საჩივარზე პასუხში სასამართლო წესით გასაჩივრების უფლებაზეც კი არ ყოფილა მითითება გაკეთებული.

განათლების სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 12 სექტემბერს IDFI-მ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მოითხოვა ინფორმაცია საჯარო სკოლებში მასწავლებლების შესარჩევი საკონკურსო კომისიების საქმიანობის შესახებ

სფერო: საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე ჰეაგირება: სამინისტრომ საჯარო ინფორმაციის განცხადება **არ დააკმაყოფილა** იმაზე მითითებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია მიზანშეწონილი გამოთხოვილი იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. რადგანაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ნორმატიული აქტი საკონკურსო კომისიების შემადგენლობაში სამინისტროს წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობას განსაზღვრავს, სამინიტროს მოთხოვნილ ინფორმაციაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეს. გამომდინარე აქედან, IDFI-მ 2022 წლის 12 აგვისტოს სარჩელი შეიტანა სამინისტროს წინააღმდეგ.

სარჩელის შედეგი: სარჩელის შეტანის შემდგომ, 2022 წლის 31 აგვისტოს სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოგვეწოდა განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად (საჯარო ინფორმაციის განცხადება ცენტრს წარედგინა 2022 წლის 12 აგვისტოს, სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის პარალელურად). გამომდინარე აქედან, IDFI-მ უარი თქვა სარჩელზე და დაასრულა საქმის წარმოება.

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: IDFI-მ 2022 წლის 15 ივლისს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსგან მოითხოვა ინფორმაცია 2022 წლის 28 თებერვალს მოხალისედ ჩაწერილი საქართველოს მოქალაქეებისთვის გამოგზავნილი ჩარტერული რეისების თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დაფრენაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ

სფერო: საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ჰეაგირება: სააგენტომ განცხადება **უპასუხოდ** დატოვა, რაც გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით. სააგენტომ საჩივარიც **უპასუხოდ** დატოვა. საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, IDFI-მ უკვე სასამართლოს მიმართა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წინააღმდეგ.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: IDFI-მ 2022 წლის 8 სექტემბერს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან მოითხოვა ინფორმაცია სამინისტროში დასაქმებული პირების თანამდებობიდან გათავისუფლების, გათავისუფლების საფუძვლების, აგრეთვე სამინისტროში დასაქმებული პირების წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების სტატისტიკის შესახებ.

სფერო: საჯარო უწყების საკადრო პოლიტიკა

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ინფორმაცია: სამინისტრომ განცხადება **უპასუხოდ** დატოვა, რაც გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით. სამინისტრომ საჩივარი **არ განიხილა** და მიუთითა, რომ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავები უნდა გადაწყდეს **მხოლოდ სასამართლოს გზით.** IDFI-მ სამინისტროს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა 2022 წლის 24 ოქტომბერს.

საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: IDFI-მ 2022 წლის 15 სექტემბერს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოსგან მოითხოვა ინფორმაცია საერთაშორისო სანქციების ქვეშ მყოფი გემების საქართველოში შემოსვლისა და შემოსვლაზე უარის შესახებ.

სფერო: საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ინფორმაცია: სააგენტომ განცხადება **უპასუხოდ** დატოვა, ხოლო **საჩივრის განხილვაზე უარი თქვა** იმაზე მითითებით, რომ საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს ფუნქციურად ზემდგომი ორგანო/პირი არ ჰყავს და ქმედება უნდა გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლო წესით. IDFI-მ სააგენტოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა 2022 წლის 16 ნოემბერს.

საქართველოს ეროვნული არქივის წინააღმდეგ

განცხადების წინაჰე პეჰიოდი: 2022 წლის 13 მაისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს ეროვნულ არქივს დაავალა IDFI-ს სასარგებლოდ იმ საჯარო ინფორმაციის გაცემა, რომელსაც ორგანიზაცია 2018 წლის 29 ივნისის შემდეგ ითხოვდა. კერძოდ, საქართველოს ეროვნულ არქივს დაევალა სამკითხველო დარბაზში მკვლევრების დაშვებაზე უარი თქმის შემთხვევებისა და მათი საფუძვლების შესახებ ინფორმაციის გაცემა.

მოთხოვნის შინაარსი: რადგანაც უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება შემოფარგლული იყო მხოლოდ 2018 წლის ჩათვლით მონაცემებით, IDFI-მ 2022 წლის 5 აგვისტოს ახალი განცხადება შეიტანა საქართველოს ეროვნულ არქივში იმ ინფორმაციის გამოსათხოვად, რომელიც შინაარსობრივად აბსოლუტურად იდენტური იყო იმისა, რომელზეც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ IDFI-ს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება.

სფეჰო: საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტჰაციუდ საჩივაჰზე ჰეაგიჰება: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ საქმეზე გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, საქართველოს ეროვნულმა არქივმა იდენტური მოთხოვნის შემცველი ახალი განცხადება **არ დააკმაყოფილა** იმაზე მითითებით, რომ ინფორმაციას **არ ამუშავებდა** მოთხოვნილი ფორმით. ამის შემდგომ, IDFI-მ უკვე ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ეროვნულ არქივს, მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითებით, თუმცა საჩივარი **არ დაკმაყოფილდა** იმავე არგუმენტზე მითითებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მუშავდება ეროვნულ არქივში. IDFI-მ ამ საქმეზე სარჩელი შეიტანა 2022 წლის 17 ნოემბერს.

ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 17 ნოემბერს საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოსგან მოთხოვნილი იქნა ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

სფეჰო: საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტჰაციუდ საჩივაჰზე ჰეაგიჰება: სააგენტომ განცხადება **არ დააკმაყოფილა** იმაზე მითითებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია აისახება წლიურ ანგარიშში, რომელიც ჯერ არ არის შემუშავებული. IDFI-მ გაასაჩივრა სააგენტოს უარი. საჩივარი სააგენტოს უფროსმა **არ განიხილა,** მის წერილში მითითებული იყო მხოლოდ თავდაპირველ პასუხზე. საჩივარზე პასუხის წერილში ასევე არ იყო განმარტებული გასაჩივრების წესის შესახებ. საბოლოოდ, IDFI-მ სააგენტოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა 2023 წლის 31 იანვარს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: 2022 წლის 24 ოქტომბერს IDFI-მ მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას საჯარო ინფორმაციის განცხადებით და მოითხოვა სამსახურებრივი ავტომანქანებით სარგებლობის, შესყიდვისა და განახლების საკითხების შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია

სფერო: მთავრობის სათათბირო ორგანოების საქმიანობა

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: მთავრობის ადმინისტრაციამ განცხადება **უპასუხოდ** დატოვა, რაც გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით. მთავრობის ადმინისტრაციამ საჩივარიც **უპასუხოდ** დატოვა. საჩივარზე არ მიღებულა არანაირი გადაწყვეტილება (არც განუხილველად დატოვების, არც დაკმაყოფილების ან დაუკმაყოფილებლობის შესახებ). საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გასვლის გამო, IDFI-მ უკვე სასამართლოს მიმართა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

აღნიშნულ საქმეებზე სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად:

IDFI სასამართლო სტატისტიკა			
საჯარო ინფორმაციის განცხადების შედეგები		**საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებები**	
არ დაკმაყოფილდა	5	არ განიხილა	8
უპასუხოდ იქნა დატოვებული	9	არ დაკმაყოფილდა	3
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა	2	უპასუხოდ იქნა დატოვებული	4
სამართლებრივი პრობლემა		**სფერო**	
უპასუხო	9	საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია	8
ინფორმაცია არ მუშავდება კონკრეტული ფორმით	2	საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა	2
ინფორმაცია არ მუშავდება	1	სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებები	2
ინფორმაცია კონფიდენციალურია	1	მთავრობის სათათბირო ორგანოების საქმიანობა	2
პერსონალური მონაცემები	1	საჯარო უწყების საკადრო პოლიტიკა	2
არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება	1		
ინფორმაციის დამუშავება არის სერვისი (საჭიროა ანაზღაურება)	1		

გარდა ზემოთ განხილული საქმეებისა, სადაც IDFI დავის მხარე იყო, ორგანიზაცია აქტიურად ეხმარებოდა ჟურნალისტებსა და სხვა ბენეფიციარებს სამართლებრივი დოკუმენტების შედგენაში, აგრეთვე წარმომადგენლობას უწევდა მათ ადმინისტრაციულ და სასამართლოში სამართალწარმოებისას. აღნიშნული სამართლებრივი მხარდაჭერის ფარგლებში IDFI-მ ჯამში მოამზადა 8 ადმინისტრაციული სარჩელი და ერთი საკასაციო საჩივარი.

მათ შორის:

კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: აღნიშნული დავის ფარგლებში, ჟურნალისტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან ითხოვდა ინფორმაციას სახელმწიფო თეატრებისა და მუზეუმების, მათი ბიუჯეტისა და ხარჯების შესახებ

სფერო: საჯარო უწყების სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: IDFI ჩართული იყო დავის ყველა ეტაპზე, კერძოდ, მოამზადა როგორც საჯარო ინფორმაციის განცხადება, ასევე ადმინისტრაციული საჩივარი და სარჩელი. სამინისტროს მიერ განცხადების **უპასუხოდ** დატოვების შემდგომ IDFI-მ მოამზადა ადმინისტრაციული საჩივარი, რომელიც ასევე **უპასუხოდ** იქნა დატოვებული. საბოლოოდ, ჟურნალისტმა IDFI-ს დახმარებითა და წარმომადგენლობით სარჩელი აღძრა სამინისტროს წინააღმდეგ.

სარჩელის შედეგი: უკვე სარჩელის წარდგენის შემდგომ ჟურნალისტს მიეწოდა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: აღნიშნული დავის ფარგლებში, ჟურნალისტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ითხოვდა ინფორმაციას საქართველოში უცხოელების შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ სტატისტიკის სახით (უარის თქმის საფუძვლების მითითებით)

სფერო: საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: მას შემდეგ, რაც საჯარო ინფორმაციის განცხადება **არ დაკმაყოფილდა,** იმაზე მითითებით, რომ ინფორმაციას სამინისტრო არ აღრიცხავს მოთხოვნილი ფორმით, ჟურნალისტმა მომართა IDFI-ს. IDFI-ს დახმარებით სამინისტროს წინააღმდეგ შევიდა საჩივარი. საჩივარზე პასუხად სამინისტრომ მხოლოდ მითითება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს შეუძლია მიმართოს სასამართლოს. საბოლოოდ, ჟურნალისტმა IDFI-ს დახმარებითა და წარმომადგენლობით აღძრა სარჩელი შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: აღნიშნულ საქმეში დავის საგანი იყო სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების - მავნე სურსათის შესახებ მოსახლეობის დროული ინფორმირების ვალდებულების შეუსრულებლობა.

სფერო: ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ხელგიხება: თავდაპირველად, 2022 წლის 4 აპრილს ქმედების განხორციელების შესახებ განცხადებით მოთხოვნილი იქნა, რომ სააგენტომ შეასრულოს კანონით განსაზღვრული ვალდებულება - გაავრცელოს ბაზარზე მავნე სურსათის შესახებ ინფორმაცია. სააგენტოს მიერ აღნიშნული ვალდებულება არ სრულდება, კერძოდ, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან აშკარა შეუსაბამობის შემთხვევაშიც კი სააგენტო არ ავრცელებს გაფრთხილების ფორმით ინფორმაციას. სააგენტომ განცხადება **არ დააკმაყოფილა,** რაც გასაჩივრდა ადმინისტრაციული წესით.

2022 წლის 2 ივნისს, **ზეპირი განხილვის** შედეგად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით საჩივარი **არ დაკმაყოფილდა.** ბრძანებაში გაზიარებული იქნა სააგენტოს პოზიცია, რომ ტექნიკურ რეგლამენტებთან სურსათის შეუსაბამობა არ არის საკმარისი გამაფრთხილებელი ინფორმაციის გავრცელებისთვის. საბოლოოდ, IDFI-ს დახმარებით მოსარჩელემ 2022 წლის 30 ივნისს სარჩელი შეიტანა სურსათის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ.

სურსათის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: აღნიშნულ დავის ფარგლებში განმცხადებელი სურსათის ეროვნული სააგენტოსგან ითხოვდა ინფორმაციას სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შედეგების შესახებ ბიზნესოპერატორთა საიდენტიფიკაციო მონაცემების, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეებისა და ფიზიკური პირების პერსონალური მონაცემების მითითებით.

სფერო: საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე ხელგიხება: სააგენტომ საჯარო ინფორმაციის განცხადება დააკმაყოფილა მხოლოდ ნაწილობრივ, კერძოდ განმცხადებელს მიაწოდა სახელმწიფო კონტროლის შედეგები მხოლოდ სამეწარმეო საზოგადოებების საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით, ხოლო ინდივიდუალური მეწარმეებისა და ფიზიკური პირების **პერსონალური მონაცემები** დაფარა. აღნიშნული პასუხი გასაჩივრდა.

2022 წლის 20 მაისს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით საჩივარი **არ დაკმაყოფილდა.** საბოლოოდ, ბენეფიციარმა IDFI-ს დახმარებით სარჩელი შეიტანა სურსათის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ და მოითხოვა თავდაპირველი განცხადების სრულად დაკმაყოფილება, მათ შორის, ბიზნესოპერატორი ფიზიკური პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეების საიდენტიფიკაციო მონაცემების მითითებით.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: აღნიშნულ დავის ფარგლებში ჟურნალისტი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან ითხოვდა კონკრეტული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის ხელშეკრულების ასლს და საპრივატიზაციო ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაციას

სფერო: სახელმწიფო ქონების განკარგვა

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: ჟურნალისტმა თავდაპირველად საჯარო ინფორმაციის განცხადება შეიტანა სააგენტოში, რომელიც **უპასუხოდ იქნა დატოვებული.** ამის შემდგომ, ჟურნალისტმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა სააგენტოს. საჩივარი **არ იქნა განხილული** იმაზე მითითებით, რომ საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირს ფუნქციურად ზემდგომი ორგანო/პირი არ ჰყავს და ქმედება უნდა გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლო წესით. ჟურნალისტმა IDFI-ს დახმარებითა და წარმომადგენლობით აღძრა სარჩელი სააგენტოს წინააღმდეგ.

კულტურის სამინისტროს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: აღნიშნულ დავის ფარგლებში ჟურნალისტი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან ითხოვდა ინფორმაციას გელათის მონასტრის რესტავრაციასთან დაკავშირებით.

სფერო: კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: ჟურნალისტმა თავდაპირველად საჯარო ინფორმაციის განცხადება შეიტანა სამინისტროში, რომელიც სამინისტრომ **უპასუხოდ** დატოვა. ამის შემდგომ, სამინისტროს ქმედება ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა. სამინისტრომ საჩივარი არ განიხილა და მიუთითა, რომ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავები უნდა გადაწყდეს **მხოლოდ სასამართლოს გზით.**

სარჩელი: ჟურნალისტმა IDFI-ს დახმარებითა და წარმომადგენლობით სარჩელი აღძრა სამინისტროს წინააღმდეგ. სარჩელის აღძვრის პარალელურად, IDFI-მ დააყენა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის სახით იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის შესახებ, რომელსაც ყველაზე კრიტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. სარჩელის უზრუნველყოფის განცხადება სასამართლომ **არ დააკმაყოფილა,** რაც გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლოს ამ დრომდე არ განუხილავს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საჩივარი

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: ჟურნალისტის მიერ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისგან მოთხოვნილი იქნა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის თვითშეფასების კითხვარზე საქართველოს მთავრობის მიერ გაცემული პასუხები.

სფერო: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: მთავრობის ადმინისტრაციამ ჟურნალისტის განცხადება **უპასუხოდ** დატოვა. ამის შემდგომ, IDFI-ს დახმარებით ჟურნალისტმა შეიტანა ადმინისტრაციული საჩივარი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში. მთავრობის ადმინისტრაციამ საჩივარიც **უპასუხოდ** დატოვა. საჩივრის განხილვის კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის გასვლის გამო, ჟურნალისტმა IDFI-ს სამართლებრივი მხარდაჭერით აღძრა სარჩელი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის წინააღმდეგ.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ

მოთხოვნის შინაარსი: დავის ფარგლებში, ჟურნალისტი ითხოვდა კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ერთ-ერთი ტაძრის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას.

სფერო: კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ინფორმაცია

განცხადებაზე და ადმინისტრაციულ საჩივარზე რეაგირება: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საჯარო ინფორმაციის განცხადება **უპასუხოდ** დატოვა, რაც ჟურნალისტმა IDFI-ს დახმარებით გაასაჩივრა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში. სამინისტრომ ადმინისტრაციული საჩივარი **არ განიხილა** და მიუთითა იმაზე, რომ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული დავები უნდა გადაწყდეს სასამართლოს გზით.

საჩივრის შედეგი: საბოლოოდ, ჟურნალისტმა IDFI-ს დახმარებითა და წარმომადგენლობით აღძრა სარჩელი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წინააღმდეგ. სარჩელის აღძვრის შემდგომ ჟურნალისტს მიეწოდა მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რის გამოც IDFI-ს სარჩელზე უარი თქვა და დაასრულა საქმის წარმოება.

საკასაციო საჩივარი

2022 წელს IDFI სამართლებრივი დახმარება გაუწია კიდევ ერთ ბენეფიციარს. ამჯერად, IDFI საქმეში ჩართო დავის მესამე ინსტანციაში განხილვის ეტაპზე და მოამზადა საკასაციო საჩივარი.

კერძოდ, დავის საგანს წარმოადგენს საჯარო დაწესებულების მიერ გაცემული, სავარაუდოდ, არასწორი საჯარო ინფორმაცია. არც პირველი და არც მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ არის სათანადოდ შეფასებული საჯარო დაწესებულების მიერ არასწორად შექმნილი და გაცემული ინფორმაციის ბუნება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსში არასწორი საჯარო ინფორმაციის მომწესრიგებელი ნორმების ბუნდოვანების, აგრეთვე ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკის არარსებობის გამო, IDFI-მ მნიშვნელოვნად მიიჩნია ჩართული აღნიშნულ საქმეში.

აღნიშნულ საქმეებზე სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად.

IDFI-ს სამართლებრივი მხარდაჭერით წარმართული სასამართლო დავების სტატისტიკა, სადაც IDFI არ წარმოადგენდა მხარეს			
საჯარო ინფორმაციის განცხადების შედეგები		**საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებები**	
არ დაკმაყოფილდა	3	არ განიხილა	4
უპასუხოდ იქნა დატოვებული	5	არ დაკმაყოფილდა	2
		უპასუხოდ იქნა დატოვებული	2
სამართლებრივი პრობლემა		**სფერო**	
უპასუხო	5	საჯარო უწყების უფლებამოსილების სფეროში შემავალ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია	2
პერსონალური მონაცემები	1	კულტურული მემკვიდრეობა	2
არ მუშავდება კონკრეტული ფორმით	1	საჯარო უწყების სტრუქტურისა და საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია	1
არასწორი საჯარო ინფორმაცია	1	ინფორმაციის გავრცელების ვალდებულება	1
		სახელმწიფო ქონების განკარგვა	1
		ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი	1
		არასწორად გაცემული საჯარო ინფორმაცია	1

დასკვნა

დასკვნა

2022 წელს განხორციელებული IDFI-ის მონიტორინგის შედეგების თანახმად ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესდა. 2022 წელს გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების პროცენტული მაჩვენებელი (58%), 2010 წლის შემდეგ ყველაზე ცუდი შედეგია. 2013 წლის შემდეგ, ქვეყანაში დამკვიდრებული იყო გაგზავნილ მოთხოვნებზე მიღებული პასუხების 80%-იანი კრიტიკული ზღვარი, რომელიც 2022 წლამდე წარმატებით იყო შენარჩუნებული.

2022 წელს, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვნებელი, საჯარო დაწესებულებათა უმრავლეს კატეგორიაში გაუარესდა, თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამინისტროები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები, რომლებმაც მასშტაბურად უპასუხოდ დატოვეს IDFI-ს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები.

2022 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების რადიკალურად გაუარესებული მაჩვენებელი, შესაძლებელია, შეფასდეს როგორც მთელ რიგ უწყებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ნეგატიური ცვლილებები, რასაც ხელი შეუწყო მოთხოვნილი ინფორმაციის გასაჯაროების დაფარვის სურვილმა. ასევე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად შესაძლებელია განხილულ იქნეს წლების განმავლობაში მაღალი გავლენის მქონე უწყებების თუ თანამდებობის პირების მიერ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით შექმნილი პრეცენდენტები, რამაც წაახალისა სხვა საჯარო დაწესებულებების თვითნებობაც. მაგალითად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, რომელიც წარმოადგენს აღმასრულებელი საჯარო დაწესებულებების ძირითად მაკოორდინირებელ უწყებას, წლების განმავლობაში არღვევს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მნიშვნელოვნად აფერხებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ასევე, საქართველოს ყოფილი იუსტიციის და მოქმედი კულტურის მინისტრი მიზანმიმართულად ზღუდავს მის მმართველობაში მყოფ ადმინისტრაციულ ორგანოებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც უარყოფითი ეფექტის მატარებელი შესაძლებელია ყოფილიყო სხვა საჯარო დაწესებულებებისთვისაც.

თუმცა, მოკლევადიან პერიოდში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაურესების არსებული მასშტაბი აჩენს მნიშვნელოვან ეჭვებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეზღუდოს ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლება.

2022 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუარესება განსაკუთრებულ პრობლემად უნდა შეფასდეს იმ ფონზე, როდესაც ევროკავშირის მიერ კანდიდატის სტატუსის მისანიჭებლად დადგენილი პირობები მნიშვნელოვნად უკავშირდება საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის ზრდას, ხოლო საჯარო ინფორმაციაზე წვდომა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად არის დასახელებული. შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაურესება, უარყოფით გავლენას იქონიებს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესზე.

მოკლევადიან პერიოდში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მკვეთრი გაუარესება, მნიშნელოვან კითხვებს აჩენს მთელ რიგ უწყებებში ანგარიშვალდებულების მექანიზმების ინსტიტუციურ მდგრადობასთან დაკავშირებით. ზემოთ განხილული ფაქტორების გავლენა ადმინისტრაციული ორგანოს საჯაროობის ხარისხზე, ცალსახად მიუთითებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით ქვეყანაში ქმედითი მექანიზმების შექმნის აუცილებლობაზე.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, თბილისი, 0108;

+995 32 2 92 15 14

Info@idfi.ge

www.idfi.ge